результатом увеличивающейся скорости реформирования общественных служб и институтов в 1970-х годах [3].

Управление (governance) является одним из путей анализа изменений на местном уровне. Управление можно определить как образец общественного принятия решений, основанный на свободных связях индивидуумов в ключевых общественных, пара-общественных (para-public) и частных образованиях на разных территориальных уровнях [4]. Термин управление подразумевает существование устойчивых связей между акторами на местном уровне, что обуславливает их компетентность и открытость процесса принятия решений. Также важным является процесс взаимодействия между правительством и неправительственными акторами, в контексте комплексного решения проблем, в отличие от стандартных операционных процедур бюрократии.

С точки зрения данной теории, ни одна организация или индивид, в рамках местной демократии, не обладают достаточной властью для того, чтобы гарантировать реализацию определенного общественного выбора. В современных условиях программы или некий политический курс, принимаемый мэром или партийной группой без согласования с другими акторами местного политического процесса, будет достаточно сложно реализовать на практике [5].

Тем не менее, данная теория признает, что управление (governance) не замещает правительство (government) ни как форма организации политической активности, ни как аналитическое понятие. Фактически понятие управление предлагает своеобразный путь для исследователя в сфере изучения политической активности (деятельности) на местном уровне, заставляет его уделять внимание в процессе исследования не только формальным институтам и процедурам, но и динамичным процессам, базирующимся на переговорах и коллективной деятельности.

Исходя из этой точки зрения, можно полагать, что управление как процесс на определенном этапе могло способствовать появлению новых форм политических институтов. Таким образом, данная концепция предлагает комбинированное изучение управления (как динамического процесса) и формальных институтов.

В то время как управление необходимо для фактической реализации некоего политического решения, стоит упомянуть о легитимности, которая тесно связана с правилами и процедурами, функционирующими в рамках институтов. Изменения в сфере укрепления индивидуального лидерства, с этой точки зрения, связаны с процессом управления местными общественными делами

(management of local public affairs). Индивидуальное руководство имеет решающее значение для функционирования местного управления. В условиях децентрализации, роста различных сетевых структур, увеличения влияния на местный уровень глобальных тенденций, локальные сообщества нуждаются в могущественных, но творческих фигурах, способных сформулировать четкий курс развития [6]. В условиях глобальной экономики, когда местность теряет свою связь с традиционными индустриями и четко определенными пространствами экономической деятельности, происходит усиление потребности в «лучшем руководстве». В этом смысле местных лидеров можно определить как квалифицированных социальных акторов, которые мобилизуют кооперацию среди других, порождая и пропагандируя новые культурные основы. Культурные основы в этом смысле являются отражением коллективных проблем и решений, которые помогают другим акторам связать свои собственные интересы с коллективной целью. Это определение во многом отвечает содержанию работы Честера Барнарда «Функция исполнительной власти» (The Function of the Executive). С его точки зрения, функция лидера заключается в том, чтобы создавать формы кооперации между индивидами или группами, помогая им создавать стабильное представление о своей роли и личности, с целью их вступления в коллективную деятельность. Для того чтобы это осуществить лидер должен продемонстрировать способность в построении и владении основами (структурами), которые придают смысл ситуации или проблеме, предлагают решения или направление деятельности и устанавливают связи с личностями и интересами акторов. По сути, эти основы (структуры) представляют изложение фактов, которые направляют коллективный интерес в специфический контекст. Акторы обладают социальными навыками и представлениями о личностных и коллективных интересах. В любой конкретной ситуации им приходится соотносить их текущее представление об этих личностях и интересах с конкретным вопросом. Так как личности и интересы являются абстрактными, они частично открыты для интерпретации. Это дает лидерам некоторый запас времени, когда дело доходит до определения того, какие группы должны быть вовлечены в дискуссию о том, как организовать конкретную политическую арену [7].

Лидеры также имеют запас времени для того, чтобы выбрать особые принципы, нормы и стандарты, к которым они хотят обращаться при осуществлении своей политики. Эти принципы определяются не только центральным правительством, но и рынком,

сетевыми связями, местным сообществом. В последнее время ЕС является важным поставщиком таких норм и стандартов, среди которых местные лидеры выбирают те, которые они считают подходящими [8].

Тем не менее, институциональные структуры, формы партийной организации и конкуренции, вместе с местной политической культурой оказывают влияние на формирование определенного типа лидера.

И как ни парадоксально, более сильные модели руководства, не приводят к индивидуальному стилю принятия решений. Необходимо отметить, что процесс принятия решений является скорее плюралистической, нежели индивидуальной деятельностью [9]. Лидеры редко действуют в одиночку, поэтому движение в сторону сильного руководства, как правило, сочетается с усилением коллегиальности в процессе принятия решений.

Параллельно с движением от правительства к управлению, обозначился важный сдвиг в организации и управлении публичными услугами. Можно выделить две фазы изменений, произошедших в местном правительстве: от публичного администрирования к корпоративному управлению, от корпоративного управления к новому публичному менеджменту. Для понимания различных этапов изменений необходимо сделать экскурс в историю управления. Современные публичные услуги, ассоциирующиеся с профессией государственного служащего, уходят своими корнями в XIX век, когда такие услуги начали появляться в США и Великобритании. В течение долгого времени идеи профессионального управления проникали в сферу публичного администрирования. Первые наиболее значимые изменения, связанные с адаптацией и применением идей профессионального управления на уровне местного правительства приходятся на 1960-1970 гг., когда получило распространение корпоративное управление. Две наиболее устоявшиеся традиции публичного администрирования подверглись изменениям благодаря корпоративному управлению. Во-первых, была поставлена под сомнение точка зрения, что местное правительство является всего лишь пассивным агентом центрального правительства. Во-вторых, было оспорено мнение о том, что местная власть представляет отдельные службы, которые отдельно друг от друга решают разные вопросы.

Многие идеи, связанные с управлением, были заимствованы из частного сектора, например, менеджмент целей, программа планирования бюджетной системы.

Как уже упоминалось ранее, новый городской менеджмент состоит не только во включении нового публичного менеджмента в местное правительство, но в большей степени связан с ростом демократического участия, эффективностью публичных услуг. Подразумевается, что правительство устанавливает больше прямых контактов с населением, а население контактирует с правительством благодаря методам развитой прямой местной демократии.

Необходимо также отметить изменения во взаимоотношениях между политиками, чиновниками и гражданами. Граждане избирают политиков, чтобы они представляли их интересы, политики несут ответственность перед гражданами, которая отражается на результатах выборов, это главное отличие правительства от администрации. Избираемый политик, как правило, привязан к району, в котором он избирается.

Литერატურა:

References:

1. Hambelton, R. Globalism and Local Democracy. Challenge and Change in Europe and North America. – Basingstoke: Palgrave, 2002. – P. 56-58.
2. Fainstain, S. The changing World Economy and Urban Restructuring. – London: Sage, 1990. – P. 43.
3. Minzberg, H. Managing. Government, Governing Management // Harvard Business Review. – May-June 1996. – P. 75-83.
4. Wilson, D. From local government to Local Governance // Recasting British Local Democracy. – 1998. – №1. – P. 90-115.
5. Piore, J. Governance, Politics and the State. – London: Macmillan, 2000.
6. Kotter, J.P. The leadership factor. – New York: The Free Press, 1988.
7. Barnard, C.I. The function of the Executive. – Harvard University Press, 1938. – P. 128-132.
8. Loughlin, J. Subnational Democracy in the European Union: Challenges and Opportunities. – Oxford University Press: Oxford, 2001. – P. 90-97.
9. Stoker, G. Political leadership in urban politics // Theories of urban politics. – Sage, London, 2001. – P. 25-29.

Рецензент: Профессор Вячеслав Дзюндзюк, доктор наук по государственному управлению, заведующий кафедрой политологии и философии Харьковского регионального института государственного управления Национальной академии государственного управления при Президенте Украины.

ვლადიმერ კოტკოვსკი

ახალი საქალაქო მენეჯმენტის კონცეფცია ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუტების ტრანსფორმაციის ფარგლებში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუტების ტრანსფორმაციის პრობლემა. ასევე გაანალიზებულია ახალი საქალაქო მენეჯმენტის კონცეფციის თავისებურებები ახალი საჯარო მენეჯმენტის კონცეფციასთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი ხელისუფლება, ინსტიტუტი, ახალი საჯარო მენეჯმენტი, ახალი საქალაქო მენეჯმენტი, დემოკრატია, მმართველობა.

რეცენზენტი: პროფესორი ვიანესლავ ძიუნდიუკი, სახელმწიფო მართვის დოქტორი, უკრაინის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის ხარკოვის სახელმწიფო მართვის რეგიონალური ინსტიტუტის პოლიტოლოგიისა და ფილოსოფიის კათედრის გამგე.

Vladimir Kotkovsky

THE CONCEPT OF NEW CITY MANAGEMENT WITHIN THE TRANSFORMATION OF LOCAL GOVERNMENT INSTITUTIONS

Summary

The problems of the transformation of local government institutions are considered in the article. Also the features of new city management in comparison with new public management are analyzed.

Keywords: local government, institution, new public management, new city management, democracy, governance.

Reviewer: Viacheslav Dziundziuk, doctor of sciences, professor, Head of Political Science and Philosophy Chair of Kharkiv Regional Institute of Public Administration of National Academy of Public Administration attached to the Office of the President of Ukraine.

დავით ლელაძე
ელექტრონული მთავრობა, როგორც სახელმწიფოს
ეფექტურად ფუნქციონირების ბარანტი

ელექტრონული მთავრობა მოიცავს სახელმწიფო მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების (ძირითადად ინტერნეტის) გამოყენებას მოქალაქეების, ბიზნესის და სხვა სამთავრობო დაწესებულებებისთვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. იგი იძლევა შესაძლებლობას მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოიპოვონ მათთვის სასურველი ინფორმაცია და მომსახურება კვირის ნებისმიერ დღეს, 24 საათის განმავლობაში.

ელექტრონული მთავრობის შექმნის სტრატეგია გულისხმობს იმას, რომ ყველა ადამიანს მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი, კომუნალური და სხვა სამსახურების, წარმონაქმნების შესახებ, რათა მიღწეულ იქნეს მთავრობის საქმიანობაში გამჭვირვალობა და ჩართულობა.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მთავრობა, სახელმწიფო, გამჭვირვალობა, ჩართულობა.

ელექტრონული მთავრობა მოიცავს სახელმწიფო მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების (ძირითადად ინტერნეტის) გამოყენებას მოქალაქეების, ბიზნესის და სხვა სამთავრობო დაწესებულებებისთვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. იგი იძლევა შესაძლებლობას მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოიპოვონ მათთვის სასურველი ინფორმაცია და მომსახურება კვირის ნებისმიერ დღეს, 24 საათის განმავლობაში. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ელექტრონული მთავრობის პირობებში, სამთავრობო მომსახურება გახდება უფრო მოსახერხებელი, საიმედო და იაფი. ე-მთავრობა ეს არის სამთავრობო მომსახურების უწყვეტი ოპტიმიზაცია, მოქალაქეთა მონაწილეობა, მართვა ტექნოლოგიების გამოყენებით შიდა და გარე ურთიერთობათა ტრანსფორმაციის მეშვეობით.

მიუხედავად გაწეული დიდი და თანმიმდევრული საქმიანობისა, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ამ მიმართულებით. 2004, 2005, 2008, 2010 და 2012 წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საჯარო მმართველობის პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა კვლევა “ელექტრონული მთავრობის განვითარების“ საკითხებზე.

კვლევაში ასახულია ელექტრონული მთავრობის მნიშვნელობა და როლი გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში, მოცემულია განვითარების დინამიკა და პერსპექტივები. კვლევის მიხედვით ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსით (E-Government Development Index) მსოფლიოს პირველი სამეული 2010 წელს შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1. კორეის რესპუბლიკა, 2. აშშ, 3. კანადა. წამყვან ოცეულში პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოხვდა მხოლოდ ესტონეთი, რომელმაც რეიტინგში მე-20 ადგილი დაიკავა. ელექტრონული ჩართულობის ინდექსის მიხედვით (E-Participation Index) პირველი სამეული გამოიყურება შემდეგნაირად: 1. კორეის რესპუბლიკა, 2. ავსტრალია, 3. ესპანეთი. წამყვან ოცეულში სამი პოსტსაბჭოთა ქვეყანა მოხვდა ესტონეთი მე-9 ადგილი, ყაზახეთი მე-18 ადგილი და ლიტვა მე-19 ადგილი. საქართველომ ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსით მსოფლიოს 192 ქვეყანას შორის მხოლოდ მე-100 ადგილი დაიკავა, ამ მაჩვენებლით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველო მხოლოდ 3 ქვეყანას უსწრებდა (სომხეთი 110-ე, ტაჯიკეთი 122-ე და თურქმენეთი 130-ე). მსოფლიო სახელმწიფოებში ელექტრონული მმართველობის განვითარების საერთო დონის შეფასებისას საქართველო 2010 წლის მონაცემებთან შედარებით 2012 წლის კვლევაში 30 საფეხურით დაწინაურდა და 190 ქვეყანას შორის 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა. ამ მაჩვენებლით საქართველო უკვე არის რეგიონის ლიდერი და უსწრებს თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს და სხვა სახელმწიფოებს.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა საჯარო დაწესებულებებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის მხრივ. აღნიშნულ სეგმენტში 2012 წლის კვლევით საქართველო 59 საფეხურით დაწინაურდა და 101-ე პოზიციიდან 42-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, ცხადია, რომ ეს მაჩვენებლები დიდად საამაყო მაინც ვერ გახდა. ამიტომაც ამოცანა ცხადი და არსებული ვითარება სერიოზული დასკვნების გაკეთების საფუძველი, ეს ამოცანაა მიზანმიმართულად განვითარებით ე-მთავრობის კონცეფცია, რამდენადაც ელექტრონული მთავრობა საქართველოს დღევანდელ პირობებში მმართველობის სისტემის

წარმატებული გარდაქმნის ყველაზე მარტივი, ეკონომიური და ეფექტიანი გადაწყვეტაა.

ცხადია, ყველაზე ეკონომიური და იდეალური იქნებოდა ელექტრონული მთავრობის შესაბამისი მმართველობის სისტემის ლოგიკური, თვითგანვითარებადი მოდელის აგება და პრაქტიკაში დანერგვა. ტექნოლოგიურად ასეთი მოდელის "გამოგონება" არავითარ სირთულეს აღარ წარმოადგენს და ბევრად აღარ განსხვავდება ველოსიპედის აღმოჩენისგან, პრობლემატურია მხოლოდ მისი ქართულად ადაპტირება და პრაქტიკაში დაფუძნება. თუმცა, ეს უფრო რთული ნამდვილად არ არის, ვიდრე მრავალ ეტაპიანი, დროში გაწეილი რეფორმა და მთლიანობაში სულაც არ მოითხოვს უფრო მეტ რესურსებს. პირიქით: მრავალეტაპიანი რეფორმა საბოლოო ჯამში შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ელექტრონული მთავრობის შექმნის ორ ეტაპიანი პროგრამა. ასეთი პროგრამის პირველი ეტაპი სხვა არაფერია, თუ არა ელექტრონული მთავრობის მოსამზადებლად პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური "გარდაქმნების" "გარდამავალი პერიოდი", რომელიც ტექნოლოგიურად სრულიად ზედმეტია და როგორც არა ერთ გზის დავრწმუნდით, საეჭვო ღირებულების პოლიტიკური მიზნების მისაღწევად რესურსებისა და დროის ფუჭ ხარჯვას გულისხმობს (აღარაფერს ვამბოთ "გარდამავალი პერიოდისთვის" ნიშანდობლივ საფრთხეებს).

ნათელია, რომ ელექტრონული მთავრობა მმართველობის სისტემის რეფორმის ყველაზე ეკონომიური გადაწყვეტაა. ეს თავიდან აგვაცილებდა ზედმეტი დროის, საფინანსო-მატერიალური სახსრებისა თუ სხვა რესურსების გაფლანგვას, აგრეთვე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაგვაზღვევდა "გარდამავალი პერიოდის" მეტად მაღალი ალბათობის რისკებისგან.

ზემოაღნიშნული რეფორმის ცენტრის მასალაში დასმულია შეკითხვა თუ რა უშლის ხელს საქართველოში ე-მთავრობის პრინციპების განხორციელებას და ამ შეკითხვაზე პასუხად ჩამოყალიბებულია მიზნები და სავარაუდო სცენარები, რომელთა ძირითად პათოსს ჩვენც ვიზიარებთ.

„ ა. მიზნები:

მთავარი მიზანი ერთია: საქართველოში უნდა მოხდეს ახალი, ამჯერად მართლაც ყველაზე უსისხლო, წარმატებული და კომფორტული რევოლუცია: ტექნოლოგიური გადატრიალება, რომელიც მმართველობის ანუ პოლიტიკური

ტექნოლოგიების ძირფესვიანი გარდაქმნებით უნდა დაიწყოს, კერძოდ:

1. უნდა შეიქმნას ელექტრონული მთავრობის არსებობის ინსტიტუციური პირობა. მმართველობის სისტემის რეფორმა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე ელექტრონული მთავრობის შექმნა წარმოადგენდეს. ამისთვის აუცილებელია:

ა) მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის შედეგად გაირკვეს საქართველოში სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ლოგიკური მოდელი (ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, მათი კომპეტენციები, პასუხისმგებლობა, რესურსები, ურთიერთკავშირები და ურთიერთქმედების მექანიზმები და ა.შ.);

ბ) საჯარო სამსახურის სისტემური და სტრუქტურული რეფორმის შედეგად გაირკვეს საჯარო სამსახურის ლოგიკური მოდელი (დაწესდეს სამსახურის სტრუქტურის ლოგიკური კავშირი ფუნქციებთან და კომპეტენციებთან, საჯარო მოსამსახურეების საქმიანობის და შესაბამის პროცედურათა ალგორითმი, საჯარო სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის რაციონალური წესები, ელექტრონული მთავრობის საქმისწარმოების სტანდარტები და ა.შ.);

2. დაჩქარებული ტემპებით უნდა განხორციელდეს ელექტრონული მთავრობის ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. ამისთვის აუცილებელია:

ა) საჯარო დაწესებულებების ინფორმატიზაციის პროგრამები, რომლებიც კონკრეტული დაწესებულების კომპეტენციების, ფუნქციებისა და სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის სრული ინფორმატიზაციის (კომპიუტერიზება, ავტომატიზება, ინტერნეტიზება) ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებებს;

ბ) ელექტრონული მთავრობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების (მაგ. მაიკროსოფტის სისტემები - G2C, G2B, G2E, G2G) და შესაბამისი ინტერფეისების ქართული ვერსიების – ელექტრონული მთავრობის ქართულენოვანი კონტენტის დამუშავება-დანერგვა.

3. უნდა გატარდეს საინფორმაციო გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები. ამისთვის აუცილებელია:

ა) საინფორმაციო კომუნიკაციების საყოველთაო ხელმისაწვდომობის სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამების განხორციელება;

ბ) სოციალურად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მომსახურებათა (მათ შორის კომუნალური მომსახურების მიწოდება და გადასახადების გადახდა, საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფა, სამედიცინო დაზღვევა, განათლება და ა.შ.) ინფორმატიზება და რაც მთავარია, ინფორმატიზებულ მომსახურებათა მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი (მაგ. საჯარო გამოყენების) საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა.

გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომი მასობრივი სასწავლო-საგანმანათლებლო და გამოყენებითი პროგრამების განხორციელება.

სისტემა საშუალებას აძლევს თვითმმართველობის ორგანოს, ადგილობრივ სამსახურს Microsoft.NET პლატფორმის მეშვეობით და სხვადასხვა კომუნიკაციებით (კომპიუტერი, ტელეფონი, მობილური ტელეფონი, ინტერაქტიური ტელეფიზორი და სხვ.) "ონლაინ რეჟიმში" იმუშაოს მოქალაქეებთან და ავტომატიზებულად განახორციელოს ისეთი პროცედურები, როგორებიცაა მაგალითად:

- თვითმმართველობის აქტების, განცხადებების, "დღის წესრიგის", საქმიანობის პრინციპების, ადგილობრივი სამსახურების სტრუქტურისა და კომპეტენციების გამოქვეყნება;
- ტერიტორიის დაგეგმვისა (განაშენიანების, სამრეწველო, რეკრეაციული ზონები და სხვ.) და მართვის, აგრეთვე სხვა აქტუალურ საკითხებზე ინტერაქტიური გამოკითხვა;
- მოქალაქეთთვის სოციალური შეღავათებით სარგებლობის უფლებების განსაზღვრა;
- მოქალაქის რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- უმუშევართა რეგისტრაცია და მათთვის ვაკანსიების ძებნა;
- გადასახადების, მოსაკრებლებისა და ჯარიმების გადახდის ადმინისტრირება;
- ლიცენზიების, სერთიფიკატებისა და ნებართვების გაცემა;
- საგზაო მოძრაობის მართვა;
- სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში მიღება;

- კომუნალურ მომსახურებებზე მოთხოვნილებათა მიღება და შეფასება;
- კომუნალური მომსახურების ორგანიზება და მართვა
- საჩივრების მიღება და დამუშავება;
- ამომრჩეველთა რეგისტრაცია;
- თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებების თაობაზე მოქალაქეთა წინადადებების, რეკომენდაციების, ინიციატივების და ა.შ. მიღება-დამუშავება.

ეს ჩამონათვალი მოქალაქეთა სურვილებისა და თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. სისტემის უპირატესობა ისიცაა, რომ აუცილებელი არ არის ერთბაშად ყველა მომსახურების და ყველა პროცედურის ინფორმაციზება და ავტომატიზება, ყოველივე ეს შესაძლოა ეტაპობრივად განხორციელდეს, რათა მაქსიმალურად მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოქალაქეთთვის, ასევე თვითმმართველობის ორგანოებისთვისაც. სისტემა ამის საშუალებას იძლევა.

ცხადია, სისტემა თავიდან ბოლომდე უზრუნველყოფს თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი სამსახურების საქმიანობის გამჭვირვალებას და მოქალაქეთა აქტიურ თანამონაწილეობას თვითმმართველობის განხორციელებაში.

საჯარო მმართველობაში ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენება და ინტეგრაცია ფუნდამენტურად ცვლის და გარდაქმნის ადმინისტრაციული ქმედებების რეალიზების ძირითად პირობებს, მართვის წესებს, ადმინისტრაციული მოდერნიზაციის წარმოდგენას, უწყებათშორის ურთიერთობებს, კომუნიკაციას და ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ურთიერთდამოკიდებულებას; მათი ზემოქმედებით ხდება ადმინისტრაციის გარკვეული ცვლილებისა და ამოცანების შესრულება, პოლიტიკური სფეროსა და ადმინისტრაციის ახალი მიმართულებების ხელშეწყობა, პოლიტიკის ინტერაქტიული ინიციატივების შემუშავების, ელექტრონული კონსულტაციებისა და უკუკავშირის განვითარება და რეალიზება. დღეისთვის ქვეყნების მიერ ძირითადი ყურადღება მახვილდება ე-მთავრობისა და ე-ბიუროკრატის განვითარების ანალიზზე და სახელმწიფო მართვის სფეროს რეფორმირებაზე.

ტრადიციულ ბიუროკრატიულ პარადიგმაში, ხელისუფალნი კონცენტრირებული იყვნენ შიდა მწარმოებლურობის ეფექტიანობაზე, ფუნქციონალურ რაციონალურობაზე, იერარქიულ კონტროლსა და მართვის წესებზე, სადაც ნიშანდობლივი იყო მართვა ზემოდან ქვემოთ, იერარქიული კომუნიკაცია და კონტროლი. ე-მთავრობის პარადიგმაში – სახელმწიფოს მმართველებს ამოძრავებს ისეთი გენერირებული პრობლემები, როგორცაა ეკონომიკური ეფექტიანობა, ფოკუსირება მომხმარებელთა დაკმაყოფილებასა და მართვაზე, მომსახურების მიწოდების მოქნილობა, შიდა და გარე მხარეების მიერ ქსელის მართვა, მოქნილობა, ჯგუფური მუშაობა, მრავალმიმართულებიანი ქსელი, მხარეებს შორის პირდაპირი კომუნიკაცია და სწრაფი უკუკავშირი, ინოვაციური მეწარმეობა, ორგანიზაციული სწავლება, მომსახურების წარდგენის დაჩქარება, კლიენტზე მიმართული სტრატეგია. ჰორიზონტალური იერარქიული კონტროლი. დღეისთვის ტრადიციული ბიუროკრატიული მოუქნელი მანქანა, როგორც წესი ადაპტირდება ონლაინ მართვასთან და ონლაინ ურთიერთქმედებით წარმოშობილ მართვის მიმართულებებთან, რომელიც სასამართლოს ზედამხედველობის დაქვემდებარებით, კონსტიტუციურად მორჩილი და ანგარიშვალდებული გამოხატავს ხალხის ნებას.

ელექტრონული მთავრობის შექმნის სტრატეგია გულისხმობს იმას, რომ ყველა ადამიანს მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი, კომუნალური და სხვა სამსახურების, წარმონაქმნების შესახებ, რათა მიღწეულ იქნეს მთავრობის საქმიანობაში გამჭვირვალობა და ჩართულობა და ბოლოს, ე-მთავრობის მოქმედების პირობებში თანამედროვე მმართველობის სისტემები და სტრუქტურები ეფუძნებიან საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. ფაქტობრივად კომპიუტერიზებული, ავტომატიზებული და ინტერნეტიზებულია მათი დოკუმენტბრუნვა, ინფორმაციის მიღება-დამუშავება და გადაგზავნა, გადაწყვეტილებების მიღების, აღსრულებისა და კონტროლის პროცედურები, ურთიერთქმედებები მოსახლეობასთან (მათ შორის არა მხოლოდ არჩევნები, მისაღები გადაწყვეტილების ქვემოდან ინიცირება ან დაინტერესებულ პირთა თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ ამა თუ იმ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება-მიღება, სხვადასხვა

კერძო საქმიანობის ლიცენზირება, გადასახადების გადახდა და ადმინისტრირება და ა.შ.), საკუთარ თანამშრომლებთან (საჯარო მოსამსახურეებთან) და ერთმანეთთან (სხვადასხვა დონის და დარგის საჯარო დაწესებულებებს შორის ურთიერთქმედებანი).

ლიტერატურა

References:

1. magStadi T.m. gavigoT politika, ilias saxelmwifo universitetis gamomcemloba, Tbilisi 2011.
2. jonsoni j.b., reinoldsi h.t. politikis mecnierebis kvlevis meTodebi, ilias saxelmwifo universitetis gamomcemloba, Tbilisi 2013.
3. doRonaZe S., iaSvili g. sajaro samsaxuri saqarTveloSi: reformebi, gamowvevebi „eleqtronuli mTavroba–, Tbilisi 2013.
4. doRonaZe S., saxelmwifo marTvis Teoriis sakiTxebi, gamomc. „cis namil|, Tbilisi 2007.
5. doRonaZe S., baRaTuria o., saxelmwifo marTvis Tanamedrove problemebi, gamomc. „cis namil|, Tbilisi 2009.
6. baRaTuria g., baRaTuria o., strategiuli dagegmva saxelmwifo marTvasa da business amocanebSi, gamomc. ||ocdameerTe||, Tbilisi 2009.

David Leladze

Electronic Government as a Guarantor of Effective Functioning of State

Summary

Electronic government includes using information technologies (mainly internet) in public administration for the purpose of improvement of services for citizens, business and other government institutions. It enables citizens to participate in the process of decision-making, obtain desired information and service any day of the week, for 24 hours.

Strategy of creating electronic government includes availability of information on state institutions, public, communal and other services or entities for every person in order to achieve involvement and transparency in government activities.

Keywords: e- government, state, involvement, transparency.

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

Давид Леладзе

Электронное правительство, как гарант эффективного функционирования государства

Резюме

Электронное правительство включает в себя использование информационных технологий (в основном интернет), с целью улучшения обслуживания граждан, бизнеса и государственных учреждений. Оно дает возможность гражданам принимать участие в процессе принятия решений, получать нужную им информацию и обслуживание в любой день, 24 часа в сутки.

Ключевые слова: электронное правительство, государство, прозрачность, включенность.

Рецензент: Профессор Шота Догондзе, Грузинский технический университет.

ე კ ო ნ ო მ ი კ ა

თამარ ბაჩილავა

საერთაშორისო ბიზნესი და თანამედროვე საქართველო

გლობალური პროცესები გამოირჩევა თავიანთი ობიექტური ხასიათით, ამიტომ ლოგიკურია ის რომ ისინი თვითდინებით ვითარდება და ანგარიშს არ უწევს ქვეყნის შესაძლებლობებს, მის თვითმყოფადობას, უნიკალურობას და რესურსების გამოყენების ჩვენეულ ხედვას, რაც საქართველოს მოსახლეობის ნაწილში ბადებს მათდამი ნიჰილისტურ განწყობას. საქართველოს ვალდებულებაა, გაითვალისწინოს გლობალიზაციის ზოგადი კანონზომიერებანი, ჩაერთოს გლობალური პროცესების მართვის არეალში, თავი დაიმკვიდროს მსოფლიო საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რაც მიიღწევა ბიზნეს-გარემოს ჰარმონიზაციით ამ სფეროში მსოფლიოს ძირითად მოთხოვნებთან. ისტორიის გაკვეთილები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში უმუშევრობისა და შესაბამისად სიღარიბის დაძლევის ძირითადი გზა არის ინსტიტუციური რეფორმები, ინვესტიციური აქტიურობის გადიდება. უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც მეტად რთული ამოცანაა, რადგანაც საქართველოს მცირე ოდენობით გააჩნია ის სტრატეგიულ ენერგეტიკული რესურსები (ნავთობი, გაზი), რომლებიც მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის. ამითაა მოტივირებული ის, რომ ქვეყანა მიმართავს ღია ეკონომიკურ პოლიტიკას.

თანმიმდევრული პოლიტიკა ინსტიტუციური რეფორმების დარგში, შეიძლება საქართველოს შემდგომი განვითარების თუ ეკონომიკური წინსვლის საწინდარი გახდეს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, საარსებო მინიმუმი, ინსტიტუციური რეფორმები.

გლობალური პროცესები გამოირჩევა თავიანთი ობიექტური ხასიათით, ამიტომ ლოგიკურია ის რომ ისინი თვითდინებით ვითარდება და ანგარიშს არ უწევს ქვეყნის შესაძლებლობებს, მის თვითმყოფადობას, უნიკალურობას და რესურსების

გამოყენების ჩვენეულ ხედვას, რაც საქართველოს მოსახლეობის ნაწილში ბადებს მათდამი ნიჰილისტურ განწყობას. საქართველოს ვალდებულებაა, გაითვალისწინოს გლობალიზაციის ზოგადი კანონზომიერებანი, ჩაერთოს გლობალური პროცესების მართვის არეალში, თავი დაიმკვიდროს მსოფლიო საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში. ეს ვალდებულება ვრცელდება არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებზეც. 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის პროგრესი. ამიტომ, გლობალურ კანონზომიერებათა შეცნობა, მათი გათვალისწინება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სახელმწიფოებისთვის, როგორც ჩვენი ქვეყანაა. ამდენად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რაც მიიღწევა ბიზნეს-გარემოს ჰარმონიზაციით ამ სფეროში მსოფლიოს ძირითად მოთხოვნებთან. ისტორიის გაკვეთილები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში უმუშევრობისა და შესაბამისად სიღარიბის დაძლევის ძირითადი გზა არის ინსტიტუციური რეფორმები, ინვესტიციური აქტიურობის გადიდება. ამ თვალსაზრისით ადგილობრივი კაპიტალის შესაძლებლობები მოკრძალებულია. ამიტომაც არის, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც მეტად რთული ამოცანაა, რადგანაც საქართველოს მცირე ოდენობით გააჩნია ის სტრატეგიულ ენერგეტიკული რესურსები (ნავთობი, გაზი), რომლებიც მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის. ამითაა მოტივირებული ის, რომ ქვეყანა მიმართავს ღია ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს იმ ქვეყნების გამოცდილებიდან, რომლებიც XX-ს 60-იანი წლებიდან განვითარების მაღალი ტემპებით გამოირჩევიან. იგულისხმება „აზიური ვეფხვები“ – ტაილანდი, სინგაპური, ჰონგკონგი, რომელთა ეკონომიკური წარმატების საწინდარია ღია ეკონომიკური პოლიტიკა და მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს შექმნა. ცხადია ისიც, რომ ყველა წარმატებული კონვერგენცია არა უბრალოდ საბაზრო ეკონომიკის, არამედ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხდება. ამდენად, მნიშვნელოვანია იმ რეალობის გათვალისწინება, რომელიც

მიმდინარეობს ქვეყანაში ტრასფორმაციის ეტაპზე, ქვეყანაში ინსტიტუციური რეფორმების დარგში, რაც უნდა გახდეს საქარ-თველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარების საწინდარი.


ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიზმის დასადგენად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოიყენება ეკონომიკური ინდექსები. ინდექსების გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური გახდა გლობალიზაციის ფონზე, როდესაც მსოფლიო ეკონომიკაში სრულიად ახალი კონკურენტული ვითარება ჩამოყალიბდა. საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოების მთავრობებს სთავაზობენ სხვადასხვა ინდექსებით შეაფასონ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა. მათი გამოყენება არ ცვლის ცხოვრების დონის ან ცხოვრების ხარისხის შეფასების ფუნდამენტალურ მაჩვენებლებს, ისეთებს როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ან ადამიანის განვითარების ინდექსი და სხვა. ამ ინდექსების არსებობა პირველ რიგში აიხსნება სურვილით დაანახონ სხვადასხვა სახელმწიფოებს მათი რეალური პრობლემები და ამდენად, პოლიტიკური ნება და ძალისხმევა მიმართული იქნას სწორედ ამ პრობლემების მოგვარებაზე. სხვა საკითხია თუ როგორ დასკვნებს გააკეთებენ სხვადასხვა სახელმწიფოები და როგორი მიმართულებით წარმართავენ თავიანთ ძალისხმევას. ბიზნესის გარემოს შესაფასებლად, მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანალიზება. აღნიშნული ინდექსი არის ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი, რომელსაც ადგენენ საერთაშორისო სტრუქტურები სახელმწიფოს სტრუქტურებთან და სხვადასხვა ინსტიტუტებთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც დგინდება ქვეყნებს შორის სხვაობა ეკონომიკური თავისუფლების ცალკეული ინდიკატორების მიხედვით.

ფრეხერის ინსტიტუტის 2010 წლის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მოხსენების მიხედვით, საქართველო, წინა წელთან შედარებით 22 პოზიციით დაწინაურდა და 141 ქვეყანას შორის 23 ადგილზე (7,47 ქულით) იმყოფება. აღნიშნული დაწინაურება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ქვეყანაში სახელმწიფო დანახარჯების წილის შემცირება; მდგრად ვალუტაზე ხელმისაწვდომობის ზრდა (ფულის მოცულობის ზრდა ეკონომიკაში და დაბალი ინფლაციის სტანდარტული გადახრა); საერთაშორისო

ვაჭრობის ზრდა, სავაჭრო ბარიერების, ბიზნესის რეგულირების ბიუროკრატიული დანახარჯებისა და პროცედურების შემცირება, ბიზნესის დაწყების გამარტივება და სხვა.

Heritage Foundation - მის მიერ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშება ემყარება 10 მაჩვენებლის განსაზღვრას: ბიზნესის თავისუფლება; ვაჭრობის თავისუფლება; ფისკალური თავისუფლება; სახელმწიფოსგან თავისუფლება; მონეტარული თავისუფლება; საინვესტიციო თავისუფლება; ფინანსური თავისუფლება; საკუთრების უფლება; კორუფციისგან განთავისუფლება; შრომის თავისუფლება. 1 დიაგრამა წარმოგიდგენს საქართველოში 2011 წელს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს. ერთბაშე ოუნდატიონ–ი ინდექსის მიხედვით, ქვეყნებს 5 ჯგუფად ჰყოფს: 1. თავისუფალი (80-100%); 2. უპირატესად თავისუფალი (70-79.9%); 3. ზომიერად თავისუფალი (60-69.9%); 4. უპირატესად არათავისუფალი (50-59.9%); 5. რეპრესიული (0-49.9%).


დიაგრამა 1
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი საქართველოში 2011 წელს



2011 წლის ინდექსის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა „ძირითადად თავისუფალი“ ქვეყნის სტატუსი, ვინაიდან ეკონომიკური თავისუფლების მთლიანი ინდექსი საქართველოში არის 70,4. აღნიშნული მაჩვენებლით იგი მსოფლიოში 29-ე, ხოლო ევროპის რეგიონის 43 ქვეყნიდან მე-11 ადგილზეა. მისი მთლიანი მაჩვენებელი (70,4) მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე (59,7) მაღალია. რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის მიუხედავად, ეკონომიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში განიცდის საშუალოდ 4,8%-იან წლიურ ზრდას. ერიტაგე ოუნდატიონ - ის მიერ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშება ემყარება 10 მაჩვენებლის განსაზღვრას: ბიზნესის თავისუფლება; ვაჭრობის თავისუფლება; ფისკალური თავისუფლება; სახელმწიფოსგან თავისუფლება; მონეტარული თავისუფლება; საინვესტიციო თავისუფლება; ფინანსური თავისუფლება; საკუთრების უფლება; კორუფციისგან განთავისუფლება; შრომის თავისუფლება.

2 დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოში 1995-2011 წლებში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ცვლილების დინამიკა.

დიაგრამა 2
საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დინამიკა 1995-2011 წლებში



ცხრილი 1

საქართველოს ადგილი ბიზნესის სიმარტივის მიხედვით 2011 წ.

	183 ქვეყანას შორის	აღმ.ევროპისა და ცენტ.აზიის რეგიონში
ბიზნესის დაწყების სიმარტივე	7	2
ლიცენზიის მიღება	4	1
თანამშრომელთა დაქირავება	89	8
ქონების რეგისტრაცია	1	1
კრედიტის მიღება	8	2
ინვესტორთა დაცვა	17	4
გადასახადების გადახდა	42	5
საგარეო ვაჭრობა	54	5
კონტრაქტების აღსრულება	41	8
ბიზნესის დახურვა	109	19
ბიზნესის კეთება (საერთო ინტეგრირებული ინდექსი)	16	1

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ მონაცემთა ბაზა უზრუნველყოფს ბიზნესის რეგულირებისა და ბიზნესგარემოს ობიექტურ შეფასებასა და ამ შეფასების შედეგად შესაბამისი ინდიკატორების მიღებას. 2011 წლის ივნისში მოხდა 183 ქვეყნის ეკონომიკის გრადაცია ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით. აღნიშნულ გრადაციაში საქართველომ მსოფლიოში მე-16, ხოლო რეგიონში 1-ლი ადგილი დაიკავა. ამავე ფონდის შეფასებით, კვლავინდებურად დაბალია ქვეყანაში კერძო საკუთრების დაცვის მაჩვენებელი. უცხოელი და ქართველი ინვესტორები კვლავაც ეჭვის თვალით უყურებენ სასამართლოს უნარს, რომ ის დაიცავს კერძო საკუთრებას და კონტრაქტებს, სუსტია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მხრივ კანონის აღსრულება. მსოფლიო ბანკის რეიტინგით, ბიზნესის სიმარტივის მიხედვით, საქართველო მე-7 ადგილზეა, თუმცა დგას მისი შენარჩუნების პრობლემა, რადგან ძლიერი პოლიტიკური რისკების პირობებში ძალიან იოლია ბიზნესის დაკარგვა. ამ კვლევაში არის ნეგატიური მომენტებიც, მაგალითად, მსოფლიო ბანკის რეიტინგი უარყოფითად აფასებს

გაკორტრების პროცედურას და ამ მხრივ საქართველო 109-ე ადგილზეა.

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში ასე გამოიყურება: **“ბიზნესის კეთების სიადვილე”** (Doing Business) – 2006 წელს 112-ე ადგილიდან 2011 წელს მე-11 ადგილზე გადაინაცვლა. (გაუმჯობესება 101 ადგილით); 10 **“ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი”** (Heritage Foundation) – 1997 წელს 125-ე ადგილიდან 2011 წელს 26-ე ადგილზე გადაინაცვლა (გაუმჯობესება 99 ადგილით) **“კორუფციის აღქმის ინდექსი”** (Transparency International) – 2005 წელს 130-ე ადგილიდან 2011 წელს 66-ე ადგილზე გადაინაცვლა (გაუმჯობესება 64 ადგილით); **“შიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების ინდექსი”** (UNCTAD მსოფლიო ინვესტიციების ანგარიში) – 1995 წელს 119-ე ადგილიდან 2011 წელს მე-30 ადგილზე გადაინაცვლა (გაუმჯობესება 89 ადგილით); **“ბერტელსმანის გარდაქმნის ინდექსი 2011”** (Bertelsmann Foundation): მენეჯმენტის ინდექსი – 42-ე ადგილი, ხოლო სტატუსის ინდექსით – 52-ე ადგილი დაიმკვიდრა.

2011-2012 წლის ანგარიშის **“გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის”** მისედევით საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და 93-ე პოზიციიდან 88-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა. 2003 წლის ნოემბრის ცნობილ მოვლენებამდე საქართველოს სახელისუფლებო შტოებისთვის სიმპტომატური მოვლენა იყო კორუფცია. მომდევნო პერიოდში ქვეყნის ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მიღწევა იყო სისტემური კორუფციის დაძლევა, შეიზღუდა ჩრდილოვანი ეკონომიკის წილიც. საზოგადოებრივ და კერძო სექტორებში ამ თვალსაზრისით მიმდინარე პროცესები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ამაზე მეტყველებს ის, რომ: **საერთაშორისო ორგანიზაცია „გლობალური პატიოსნების“** 2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია რომ **„საქართველო ამოღებულია მასშტაბური კორუფციის ქვეყნების სიიდან“**. ამ სიიდან ქვეყნის ამოღება ნდება იმ შემთხვევაში თუ ის აკმაყოფილებს **„გლობალური ინდექსის“** სამ მახვენებელს: პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების გამჭვირვალება; სახელმწიფო საწარმოების მენეჯმენტი და მათი მართვის გამჭვირვალება; მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული წესები. ამ მახვენებლების მიხედვით საქართველომ მიიღო 100-

დან 73 ქულა [8, გვ.54]. 2010 წლის მოხსენებაში - «ანტიკორუფციული გარდაქმნა», მსოფლიო ბანკი მიესალმება საქართველოში მიმდინარე ანტიკორუფციულ პროცესებს; მსოფლიო ბანკი და ღ თავის მოხსენებაში აღნიშნავენ, რომ ფირმების დონეზე კორუფცია დაეცა 60-დან 5 %-მდე. ათასწლეულის ცვლილებების მილენიუმის პროგრამით, 2011 წლის კორპორაციების უფლებამოსილების ინდიკატორები მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანა აკმაყოფილებს კორუფციის კონტროლის მაჩვენებლებს. საქართველოს, მისი ჯგუფის, ქვეყნებში ამ თვალსაზრისით აქვს მაღალი ქულები; აშშ-საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევით, გამოკითხული მოსახლეობის 95% ადასტურებს იმას, რომ მათ 2011 წელს არ გადაუსდიათ ქრთამი. მიუხედავად ამისა, „გლობალური პატიოსნების“ შეფასებით ამ თვალსაზრისით საქართველოში არის პრობლემებიც ესენია: კანონების განხორციელების; ძალაუფლების, აღმასრულებელ შტოში თავმოყრის პრობლემა. რაც შეეხება ელიტურ კორუფციას ის ელიტური იმიტომია, რომ ძნელად აღმოსაჩენია, და ნაკლებად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. „გლობალური პატიოსნების“ ექსპერტის ნათანელ ელკრის გამოკვლევის შედეგებით: „ საქართველოს კონტექსტში ამ პრობლემის გარკვეული ნიშნები მართლაც შეიმჩნევა,“ საზოგადოდ, მისი ერთ ერთი ნიშანი მუდარგნდება იმაში, რომ არ არის ის მექანიზმი, რომელიც მაღალი რანგის ჩინოვნიკს არ მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ გადადგომის შემდეგ წავიდეს იმ ბიზნესში, რომელსაც ის კურირებდა. საქართველოში არსებული მძიმე სოციალური პრობლემები (უმუშევრობა, საარსებო მინიმუმი, დაბალი მსყიდველობითი უნარი, ფასების ზრდა და სხვა) ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, რამოდენიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინდექსში მაღალი ადგილების დაკავება, საერთაშორისო ორგანიზაციების ოპტიმისტური შეფასებები, აშკარად ქმნის გარკვეულ დაბნეულობას და ხშირად გამოიხატება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ ამ ინდექსებისადმი დაბალ ნდობაში. დასაქმების პრობლემა ყველაზე მწვავეა და ლოგიკურია, რომ ის იკავებს პირველ ადგილს ყველა სოციოლოგიურ გამოკითხვაში. ეკონომიკურმა კრიზისებმა, ტერიტორიების ოკუპაციამ და ამის შედეგად რუსეთთან კონფრონტაციამ ზეგავლენა მოახდინა დასაქმების დინამიკაზე. 1990 წელთან შედარებით ეკონომიკურად აქტიური

მოსახლეობა შეადგენს 71%-ს აქედან დასაქმებულია 59%. 2003 წლიდან უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა 43% დასაქმებულთა საერთო რიცხვი შემცირდა 12.5%-ით. აღსანიშნავია, რომ უმუშევართა აღნიშნული დონე ეფუძნება ორ სტატისტიკურ-მეთოდოლოგიურ დაშვებას, რომლებიც ამცირებენ პრობლემის სიმწვავეს: უმუშევრებს არ მიეკუთვნება თვითდასაქმებულები; უმუშევრობის დონე განისაზღვრება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმით ანუ უმუშევარს განეკუთვნება 15 წელს ზემოთ პირი რომელიც არ მუშაობს გამოკითხვის მომენტიდან წინა შვიდი დღის განმავლობაში 1 საათის განმავლობაშიც კი და ეძებს სამუშაოს ბოლო ოთხი კვირის მანძილზე. დასაქმებულთაგან 621 ათასი ეწევა დაქირავებულ შრომას. აქედან, სახელმწიფო სექტორში 300 ათასი კაცი. მილიონზე მეტი კი თვითდასაქმებულია. ამ კატეგორიიდან 4/5 ეკონომიკის აგრარულ სექტორშია დასაქმებული, სადაც ერთ სულზე წარმოებული დამატებული ღირებულება საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. აღნიშნულის ერთ ერთი ძირითადი მიზეზი ინვესტიციური ნაკადების არასწორი რეგულაცია, მათი დასაქმებაზე არაორიენტირებული გადანაწილება და ქვეყანაში ამ მხრივ არსებული რეგულაციების სისუსტეა. რაც თავის მხრივ არ იწვევს ბიზნეს სექტორის დასაქმებაზე ორიენტაციას. აშშ-ში მოსახლეობის 70 % მცირე ბიზნესშია დასაქმებული საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 16 % შეადგენს, რაც 3-4ჯერ ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. დასაქმებულთა 63 % მსხვილ ბიზნესშია დაკავებული. ევროკავშირში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 39%. ამ მიზეზების გამო გაიზარდა შრომითი მიგრაცია. ამჟამად საქართველოდან გასული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენს 1 მლნ 300 ათასს. რომ არა ეს ფაქტორი უმუშევრობის დონე საქართველოში არა 16-17 პროცენტი არამედ 65% იქნებოდა. ასაკობრივ ჯგუფებში ჭარბობს უმუშევრობა ახალგაზრდებში 25 წლამდე ასაკში მხოლოდ 37%-ია დასაქმებული. ახალგაზრდების დასაქმებასაც აქვს თავისი სპეციფიკა თავი იჩინა ე.წ. «ეიჯიზმის» სინდრომმა მმართველობითი ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდების მასობრივმა დასაქმებამ, რაც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს სხვა ასაკობრივ ჯგუფებს [3]. ბოლო წლებში გაიზარდა ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა. თუ 2003 წელს საშუალო ხელფასით შესაძლებელი იყო 22 კგ

ხორცის ყიდვა 2010 – 72კგ-სა ხოლო 2011-ში 48 კგ-ს. მიუხედავად ამისა ამჟამინდელი ხელფასი საკმარისია საშუალო, ოთხსულიანი ოჯახის სოციალური სიღარიბის ნიშნულის მხოლოდ 65%-ის გადასაფარად. საშუალო ხელფასი აშშ-ის დონის მხოლოდ 10.6 %-ია შესაბამისად ეს შეადგენს 608 ლარს და 3260 დოლარს. დასაქმებულთა ხელფასის მაჩვენებელი საქართველოში ამერიკულის 3,5%-ს შეადგენს მსყიდველობითი უნარის პარიტეტი კი 6,9%-ს. რეალურად საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა საქართველოში აშშ-ზე თითქმის 15-ჯერ დაბალია. ამავდროულად ფასების დინამიკით საქართველო გაუტოლდა ევროპას ზოგიერთი პროდუქციის ფასით კი გაუსწრო კიდევაც. ერთ-ერთი უმწვევავესი სოციალური საკითხი საარსებო მინიმუმთან არის დაკავშირებული. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმში 155 ლარია, საშუალო მომხმარებლის – 137 ლარი, ოთხსულიანი ოჯახის – 260 ლარი. საარსებო მინიმუმში დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. საარსებო მინიმუმის მაჩვენებლის განსაზღვრა ხდება პროდუქტებზე არსებული სეზონური ფასების და ადამიანის მოთხოვნილების აუცილებელი დღიური ნორმის მიხედვით. დადგენილი დღიური ნორმა 2300 კილოკალორიის მიღებას გულისხმობს, რასაც 40 სახეობის სხვადასხვა საკვები პროდუქტი ადგენს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია სასაქონლო ნომენკლატურის გაზრდა, რიგი საქონლის, თუ მომსახურების დამატებით, რომელიც აუცილებელია ადამიანის არამარტო ფიზიკური არსებობისთვის, არამედ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების და უნარების განვითარებისთვის.

თუ საქართველოში არსებულ საარსებო მინიმუმს და ფასების დონე შევადარებთ მაგალითისათვის, თუ ავიღებთ ამერიკის შეერთებულ შტატების ანალოგიურ მონაცემებს დავინახავთ, რომ იქ საარსებო მინიმუმში ერთ სულზე წელიწადში 10.830 ამერიკულ დოლარს შეადგენს, ხოლო ოთხსულიან ოჯახზე - 22.050 ამერიკულ დოლარს - ანუ დაახლოებით 3091 ლარი თვეში, როცა საქართველოში ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმ 260 ლარით განისაზღვრება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმის თანაფარდობა ამერიკულთან შედარებით, დაახლოებით 8%-ია. საერთაშორისო

სავალუტო ფონდის მონაცემებით, საქართველოში ამერიკასთან შედარებით საერთო შეწონილი ფასების დონე 55%-ია, ხოლო «ბიგმაკის» ინდექსის თანახმად 85%-ია. ჩვენთან ფასები, მაგალითად, ბენზინზე 40%-ით უფრო მაღალია ვიდრე აშშ-ში, ფრინველის ხორცზე 30%-ით, ბანანზე 70%-ით, ასევე 25%-ით ძვირია საქონლის ხორცი და რიგი სხვა პროდუქტები. გამოდის, რომ ჩვენთან საარსებო მინიმუმი ნამდვილად არ უნდა იყოს ასეთ დაბალ დონეზე, ამერიკულ საარსებო მინიმუმთან შედარებით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციური რეფორმები და მისი შედეგები დროში ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგანაც რეფორმები ორიენტირებულია გრძელვადიან პერსპექტივაზე. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების გააზრებული თანმიმდევრული პოლიტიკა ინსტიტუციური რეფორმების დარგში, შეიძლება საქართველოს შემდგომი განვითარების თუ ეკონომიკური წინსვლის საწინდარი გახდეს.

ლიტერატურა

References:

1. Sengelia T., saerTaSoriso menejmenti. Tb., «axali saqarTvelo», 2012. 734 gv.
2. Sengelia T., globaluri biznesi. Tb., „axali saqarTvelo-. 2011. 640 gv.
3. ema tuxiaSvili., «SiSi da SimSili investiciebSi-, „kviris palitra-, №42 (202) 21-27 noemberi, 2011. gv. 23-26.
4. saqarTvelos erovnuli antikorufciuli strategia, 2009 w.
5. qveynis ZiriTadi monacemebi da mimarTulebebi 2012-2015 wlebisaTvis. saqarTvelos mTavroba, Tb., 2011.
6. www.heritage foundation bec.ge/images/doc/information
7. www.geostat.ge
8. www.economy.ge
9. www.nbg.gov.ge

Tamar Bachilava
International Business and Modern Georgia

Summary

Global processes are distinguished by their objective nature, therefore it is logical that they are self-developed, and does not consider the possibilities of country, its identity, uniqueness and usage of resources according to our vision, which raises the nihilistic attitude toward them in the Georgian population. The obligation of Georgia is to take into account the general regularities of globalization, to involve in the management area of global processes, to establish itself in the international integration processes of the world.

On the current stage of development the purpose of Georgia is the world economic integration, which is achieved by the harmonization of the business environment with the basic requirements of the world in this field. The lessons of the history show that the main way to reduce unemployment and poverty reduction is institutional reforms, increased investment activity. The most important thing is to attract foreign capital, which is very difficult task, because of the small amount of a strategic energy resources (oil, gas), which are attractive for foreign investors.

Due to this fact country use an open economic policy.

The consistent policy in the field of institutional reforms may become guarantee of development and economic advancement of Georgia.

Keywords: globalization, economic freedom index, living wage, institutional reforms.

Reviewer: Professor Genadi Iashvili, Georgian Technical University

Тамар Бачилава
Международный бизнес и современная Грузия

Резюме

Глобальные процессы отличаются своими объективными характеристиками; по этому вполне логично, что они самостоятельно развиваются и не считаются с возможностями государства, его идентичностью, уникальностью и использованием ресурсами, что вызывает нигилизм в части населения Грузии. Это обязывает Грузию принимать во внимание общие закономерности глобализации,

присоединиться к управлению глобальных процессов и утвердиться в мировых международных интеграционных процессах.

На нынешнем этапе, цель Грузии - интеграция в мировом экономическом пространстве, что достигается в этой области с гармонизацией бизнес-климата с основными требованиями мира. Уроки истории показывают, что институционные реформы, увеличение инвестиционной активности в стране являются путем преодоления безработицы и бедности. Самое главное - привлечь иностранный капитал, но из-за небольшого количества стратегических энергетических ресурсов (нефть, газ), которые привлекают иностранных инвесторов, является очень трудной задачей. Этим мотивирован то, что страна обращается к открытой экономической политике.

Последовательная политика институциональных реформ, может привести страну к улучшению экономического развития.

Ключевые слова: глобализация, индекс экономической свободы, минимальная заработная плата, институциональные реформы.

Рецензент: Профессор Генадий Яшвили, Грузинский технический университет.

УДК 330.33

Олег Канцуров

ИНСТИТУЦИОНАЛИЗМ КАК МЕТОДОЛОГИЧЕСКАЯ ОСНОВА НАУЧНЫХ ИССЛЕДОВАНИЙ

Рассматриваются предпосылки использования в научных исследованиях социально-экономических объектов, процессов и явлений методического инструментария основанного на теоретическом базисе институционализма. Обосновывается, что теоретические основы институционализма наиболее соответствуют потребностям эволюционного преобразования общества для завершения формирования модели развития с учетом социально-экономических, этнопсихологических и морально-этических национальных особенностей. Это позволяет обойти острые вопросы распределения прав собственности в обществе, направив реформаторские усилия на совершенствование поведения субъектов экономических отношений и минимизации транзакционных издержек институциональной системы. Реформирование экономики как комплекс взаимосвязанных трансформаций социальных институтов обеспечит сочетание системного и индивидуального подходов с получением синергетического эффекта.

Ключевые слова: институционализм, экономическая теория, предмет исследования, объект исследования.

